

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი

ინჟინერიის, ტექნოლოგიების და აგრარული მეცნიერებების მიმართულებით

საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი სხდომის ოქმი №4

ქ. ბათუმი

12.02. 2019 წელი

საკონკურსო კომისიის წევრები

1. ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მარიამ მეტრეველი (თავმჯდომარე);
2. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი ოთარ შაინიძე;
3. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი რევაზ კახიძე (მოადგილე);
4. ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი გია ბოლქვაძე;
5. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ზებურ სურმანიძე (მდივანი);
6. ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი გურამ გვარიშვილი.

დღის წესრიგი:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის N36 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის დებულების საფუძველზე 2019 წლის თებერვალში ინჟინერიის, ტექნოლოგიების და აგრარული მეცნიერებების მიმართულებით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცება.

მოისმინეს 1: საკონკურსო კომისიის მდივნის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01-08/184 ბრძანების შესაბამისად ჩატარებულ კონკურსში ინჟინერიის, ტექნოლოგიების და აგრარული მეცნიერებების მიმართულებით წარმოდგენილი იყო 12 მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, მათ შორის 2 ახალგაზრდა მკვლევარის. საკონკურსო კომისიამ სულ ჩაატარა 4 სხდომა,

მათ შორის N3 სხდომაზე განხილული და შეფასებული იქნა ახალგაზრდა მკვლევარების მიერ წარმოდგენილი პროექტები (აღნიშნულ სხდომაზე მონაწილეობა არ მიუღია მარიამ მეტრეველს). ყველა პროექტი შეფასდა და მიენიჭათ ქულები. მათ შორის ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო:

ა) საკონკურსო კომისიის N2 ოქმის თანახმად - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის - მერაბ არძენაძის ხელმძღვანელობით წარმოდგენილმა მიზნობრივმა სამეცნიერო-კვლევითმა პროექტმა „დასავლეთ საქართველოში ინტროდუცირებული ციტრუსოვნების ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა, მანდარინის ანარჩენის ქიმიური შედგენილობის კვლევა და მისი გადამუშავების მცირენარჩენიანი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიის შემუშავება“ (96,7 ქულით);

ბ) საკონკურსო კომისიის N3 ოქმის თანახმად - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის (ახალგაზრდა მკვლევარის) დალი ქამადაძის ხელმძღვანელობით წარმოდგენილმა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევით პროექტმა - „აჭარის ზღვისპირეთის კამელიების მრავალფეროვნების შესწავლა, მონაცემთა ბაზის შექმნა და სადედე კოლექციის განახლება“ (93,5 ქულით).

საკონკურსო კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსში ინჟინერიის, ტექნოლოგიების და აგრარული მეცნიერებების მიმართულებით გამარჯვებულად გამოცხადდეს:

1.1. აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის - მერაბ არძენაძის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი (პროექტის ბიუჯეტი: 20 000 (ოცი ათასი) ლარი) „დასავლეთ საქართველოში ინტროდუცირებული ციტრუსოვნების ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა, მანდარინის ანარჩენის ქიმიური შედგენილობის კვლევა და მისი გადამუშავების მცირენარჩენიანი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიის შემუშავება“ (96,7 ქულით);

1.2. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის (ახალგაზრდა მკვლევარის) დალი ქამადაძის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი (პროექტის ბიუჯეტი: 10 000 (ათი ათასი) ლარი) - „აჭარის ზღვისპირეთის კამელიების მრავალფეროვნების შესწავლა, მონაცემთა ბაზის შექმნა და სადედე კოლექციის განახლება“ (93,5 ქულით).

2. წინამდებარე ოქმი გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (გაიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე - Web@bsu.edu.ge) და მიღებული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

მდივანი:


